



თეატრი



საუკუნელ-კვირათ ლიტერატურული და მხატვრობითი გაფეთი.

6 აპრილს

გამოცემა

№ 14

პირვენი გირგები

1886 წელს.

ფასი „თეატრი“—სა წლით ხუთი (5) მანგთი, ნახევრ წლით სემი (3) მანგთი, სხვა გადით ხელის მოწერა არ მიღება. წალენი სომერი „თეატრი“—სა დის საში შეური. ხელის მოწერა მიღება: თბილისში „თეატრი“—ს რედაქციაში და ქუთაისში მშ. ჭილაძების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის აღწერა: თბილის მოწერა მიღება. რედაქციას ერთი სტატია გაუგზავნა და იმ პარობით, რომ ენა შეუცვლელათ დაეტოვებიათ, მაგრამ პასუხათ აი რა მიიღო: თქვენს თხოვნას ვერას გზით ვერ დავაკმაყოფილებთ; რადგანაც გრამატიკაში სუსტი გრძანდებითო, და სხ. მაგრამ ისიც ენახოთ, თუ რაში პოლობენ დიაკვენები სისუსტეს: მას აქეთ, რა რომ? ვინ გაიღონაო, რა თუ არის, რამდენ რის მაჩანალააო და სხ. დავითიანში ერთი პატარა თავი (იგ) გარდავითხე და იქაც კი ვნახე დაკვენების შენიშვნის გამაქარწყლებელი საბუთი. დიაკვენების დაწუნებული «რა რომ» იმისთვის პოეტის უხმარია, რომ „ივერიის“ რედაქციის მთელ კრებულს იმის ფრჩხილშიაც არ გაცვლი (რა ჯანდაბათ მინდა? ნეტაი ვაკანსია დაიცლებოდეს; ქვეყანა გაიწმიდება ამ უმეტარი დიაკვენების თავიდამ მოშორებით). აი როგორ სწერს ზურამიშვილი ხენებულ (იგ) თავში:

„აწ მეორედ მეფე ვახტანგ, რა რომ ყენს მეას მინქს,
თითქმის ასე განარისხეს, კუუისაგან უეაცინეს“.

მაგრამ დიაკვენები, ვიცი, ამას იტყვიან: ჩვენს სამოციქულოში ეს არ გვინახავს და, მაშასაღამე, უკანონოა! აბა, დიაკვენები, ხალხს მაინც დაუჯერეთ, რომელიც წამ დაუწეულ ხმარობს ამ კაშირს.



გაზეთი „ივერია“ და მისი მნა.

(დასასრული *)

მრთი სიტყვით, სად გინდათ, რომ შეცომა არ იყოს: ყოველ განყოფილებაში რედაქციის უმეტერება იხატება შესახებ ქართული ენისა და მისი გრამატიკისა. სხვა ათას შეცომას თავი დავანებოთ და დასასრულ მხოლოდ ერთი მოეკისენით. მრთი ზმნა „ივერიის“ რედაქციისაგან წამებული და საბრალოს ლამის ტყავი გააძრონ. მს ზმნა გახლავსთ „აღსარება“. მრთი დიაკონი სწერს „ვაღვიარებო“, მეორე— „მიღიარებიაო“, მესამე— „აღვიარებულიო“, მეოთხე— „აღირადებულიო და სხ. საკვირელია, ამდენმა უმეტარი დიაკონმა როგორ მოიყარა ერთათ თავი? უბრალო სოფლელი ღვდელი კანონიერათ ხმარობს ამ ზმნის ფორმებს და თქვენ რა დმერთი გაგიწყრათ, დიაკვენებო? ნუთუ სულ საკუთარი სამოციქულო გიკირავსთ ხელში? მრწამსი მაინც არ წაგიკითხავსთ? იქა სწერია: „აღვიარებ ერთსა ნათლისლებასა“. — აღსარება: მიმღეობა დარწულები, და არა „აღვირადებული“!. მრთი საპატიო პირი ამ ზმნის მიმოხრის გაგზავნას აპირობს „ივერიის“ რედაქციაში დიაკონთა საგულისხმოთ და ამიტომ მე აღარ განვაგრძობ.

*) იხილე *თეატრი*, № 13.

რა რომ იგრევე იხმარება, როგორც თუ რომ (მაგრამ იქნება დიაკვნების გრამმატიკაში არც ეს ეწეროს?)... არა, დიაკვნებო! რომ აქ კანონიერათ არის ნახმარი, და თქვენს ნაჯღაბნში კი ეგ რომ წამ-და-უწუმ მაჩან-ჩალაც არის და მატრაკელიც. № 32-ის მოწინავე სტატიაში თქვენა სწერთ: «პირველად ესა, რამ აფ-ტორი სხვა ადგილას იმას ამბობს, რომ—ო და სხვ. ამდენი რომ ნეტაი კეთილხმოვანებისთვისა ნახმარი? აი ნამდეილი მაჩანჩალა თუ გინდათ, ეგ არის!.. დიაკ-ვნები კიდევ მისწორებენ მე გრამმატიკას: „სწამლავს“ კი არა „ჰსწამლავს“ უნდაო!.. ნამდეილი დიაკვნური შენიშვნაა! დიაკვნებს ძველ სამოციქულოში უნახავს ამ გვარი მართლწერა და ასე უნდაო! არა, დიაკ-ვნებო: „ჰსწერს“ კი არ უნდა, არამედ „სწერს“, „ჰსოქვა“ კი არა, არამედ „სთქვა“, „ჰსწამლავს“ კი არა— „სწამლავს“. კეთილ ხმოვანებისათვის აქ ასო ს არის და ეგ სრულიად საკმარა, და კიდევ მიწებე-ბული: მაჩანჩალის უმაჩანჩალესი იქნება... მაგრამ არ გაემტყუნებათ დიაკვნებს: ისინი მაჩანჩალობას ერთობ შეჩვეულნი არიან, ხუცებთან ჩანჩალაში და ამგების თრევაში გაუტარებით მთელი სიცოცხლე ..

ია სულ ეს ორი სიტყვა უნახავს ბატონს და დიაკვნებს მთელს გრძელ სტატიაში და ამის გამო ალუარებიათ ჩემი უცოდინხმობა ქართული გრამმატი-კის! მაგრამ გონიერი მეითხელი ადგილათ დაინა-ხავს, რომ «ივერიის» რედაქცია თავისი შენიშვნით თავისსავე უმეტებებს ამტკიცებს. ამაზედაა ნათქვამი: «ეირმა პალო მოგლიჯა: ერთი წიხლი სხვას ჰერა და ათასი თვით იქრაო» (მე ანდაზას მოგახსენებთ; პი-როვნებას არ ვეხები).

მრთი შეცომა კიდევ უნახავს დიაკვნებს ჩემს სტატიაში: „წამწამთა სწამლავს“ არ ითქმისო!.. არ ითქმის, ალბათ, მხოლოდ იშიტომ, რომ «ივერიის» სამოციქულოში არ სწერია, თორემ ეს ხომ ითქმის: «კაცობრიობის დიდებულთა ნალეაჭთა თირკმლები გაუსინჯეთ»-ო?

როგორ ჰყიქჩობ, მკითხველო? ვინ კოდეილა უმეტარი გრამმატიკაში: მე, თუ მთელი კრებული «ივერიის» დიაკონთა? მიეტევება, თუ არა, ამ გვერი უმეტებება იმისთვის სახელ-განთქმულ ბა-ტონს, როგორიც არის „ივერიის“ რედაქტორი? მე მცონია, დამნარავეთ უნდა ალსარებულ-იქმნას იგი და უნდა დაისაჯოს. სასჯელათ მე ჩემს მხრით ეს ამო-მირჩევა: ერთი კვირის განმავლობაში მაინც აეკრ-ძალოს ქალალდის თამაში და თვეში ერთხელ მაინც შეიტყოს წინ-და-წინვე, თუ რა იბეჭდება გაზეთში. მაშინ, დარწმუნებულნი ვართ, (ამიტომ რომ ილია ჩემ კვირიან კაცათ მიგვაჩნია) ხონელების ამდენ აჭია-

ბაჭიაობას ცოტათი მაინც ფრთა შეეკვეცეტადა, რაზეც არ დამის ხონელების ორგანათ გადაიქცეს ეგ „ივე-რია“ (ვაჟა-ხონელა არ უშვებს ერთ სიტყვასაც, საღ-მე მის წინააღმდეგ თქმულს, და ავსებს გაზეთს ჩალა-ბულათი)... მრთი სიტყვით, «ივერიის» რედაქტორი, ჩემის აზრით, ასე თუ ისე, უნდა დაისაჯოს. მე უფ-რო ადვილათ მიეუტევებ უმეტებებს იმის დიაკვ-ნებს, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმონან.

ჩემ იმიტომ გავაგრძელეთ ბაასი გაზ. „ივერა-ზე“ და იმის ენაზე, რომ დღეს ჩემში ეგ არის ერ-თათ-ერთი გაზეთი სრული განყოფილებით; უფრო კიდევ იმიტომ, რომ ის გამოდის ოდესშე ჩემში სა-ხელგანთქმული პირის რედაქტორობით. ამ გვარს მო-თავე პირს ყოველთვის სხვებზე მეტი უნდა მოეთხო-ეოს, რადგანაც საზოგადოება სახელ-განთქმულ პირს ბრძან მიჰყება და უჯერებს და, მაშასადმე, ადვი-ლათ შევა იგი შეცომაში, თუ თვით მეთაური შემပ-თარია. ასე ლილხან იმიტომ შეეჩერდით გაზეთის გა-რეგანი ლიჩსების დაუსახაზე, რომ დიდ მინშენელო-ბას ვაძლევთ შინაგან ლიჩსებასთანვე აგრეთვე გარე-გან სიმშევნიერესაც. რაც უნდა გემრიელი და მარ-გებელი საჭმელი მოგარენ, თუ ის ბინძურათ არის შემზადებული და ბალნითა და ხიწვებით საესე, უთუ-ოთ შეგეზიზღებათ და, დარწმუნებული ვარ, არ მიირთ-მევთ («ივერიის» დიაკვნების კი რა მოგახსენოთ: ისინი არც გემოს დასდევენ და არც სიწმიდეს, ოლონდ კი ბატონის აბგა გააქსონ და სადაცითო თითო-ორობი შაური აიღონ!). ამ გვარივე თვისება აქვს კაცის აზრისა და სიტყვასაც: რაც უნდა ლრმა იყოს იგი და ლილმნიშვნელოვანი, თუ მახინჯი ფორმით არის გამოხატული, თავის მნიშვნელობას და გაელე-ნას სრულიად ჰყარგავს. მე ასე არის და ამის უარ-ყოფა შეუძლებელია. მაგრამ რას იტყვით იმ შემთხ-ვეებისას, როდესაც შინაარსიც მახინჯია და გარსიც, როდესაც აზრიც უხეროვა და ფორმაც ძეალთ-მომ-ტეხი? მე მცონია, ამ გვარი უველაური საიქიოს უნდა გაიგზავნოს,—საიქიოს, სადაც ცოდველნი განისვე-ნებენ, სადაც არის კუთვა და ლრკენა კბილთა... ბაზეთის «ივერიის» გარსზე ჩემ საკმაოთ ვი-ლაპარაკეთ. შევეხოთ ახლა შინაარსისაც.

დავიწყოთ ისევ მოწინავე სტატიებიდამ. რას წარმოადგენს ეგ სტატიები? მეთაურისტმა უკვე გა-მოაცხადა, რომ ჩემ შინაურ კითხვებს ვერ შევეხ-ბით, რადგანაც იმათი არც ალიანი გვესმის და არც ჩალიანიო!.. მარგა, შენმა მზემ! საქართველოში გაზეთი გამოილოდეს და მარად ბისმარკ-ზლატონე-ბით გიჭექაცდეს უურებს! მრთი კვირის განმავლობა-ში სულ ბისმარკ-ბასმარკ-ბისმარკით, გაიძახის მეთაუ-

რისტი, და როცა შეატყობის, რომ ჴ—ახლა გავაძრე ტყავიო, მისდგება მერმე ზლადსტონს ან ჩამბერლენს და ესი მათი ბრალი. ბულსა და მაგარას არ შეარჩენს და თირკმლებსაც სულ ერთიანათ აუფორიაქებს! ან კიდევ მოჰკვება ფილოსოფოსობას მე და შენ-ზე და როტავს და როტავს...

ნაკვესი რაღა ფრინველია? ამ განყოფილებისათვის უმთავრესი ადგილი მიუნიჭებია რედაქტიას და უქიმორ არა კი არის: სამი თვე გავიდა აგრე და, კარგათ რომ დათვალო, სამი მარილიანი ოხუნჯობაც არ ყოფილა შიგ: ყოველივე სულელური სიტყვა ან ყოველივე ჭეშმარიტება „ივერიის“ რედაქტიას ოხუნჯობა ჰერნებია... მგ ლელო მანც, რომლის ინიციატორობითაც დაარსებულა ეს განყოფილება, სულ დაიჩრდილა სხვა მენაკვესებისაგან და, მაღლობა ღმერთს, გაძეირა უმარილო ნაკვესების ბეჭდეა, თათქო ვისმე გაეჩუმებიოს ის ამ სიტყვებით: «სუ, ლელოვო!»

ახლა ნარკვევიც გაესინჯოთ. სმისთანა ადვილი რა არის: აიღ, დიაკონო, რომელიმე გაზეთი და გაღმოთარგმნე იქიდამ ის, რაც შენ, დიაკონო, მოგეწონება (სხვის გემოვნებას და საჭიროებას რას დასდევ?), მაგალითებრ არმდენი სულელობა ჩაუდენია ზელდმანს პეტერბურგში, ან რა „მენეიბის“ არის „სარატოვის ფურცლები აქსაკოვშე და სხვა სულელობა. თარგმნაც ხომ ძლიერ გეადეილებათ: გრამატიკა არ არსებობს თქვენთვის და არავითარი კანონი, — გაშასადამე სთარგმნე და სთარგმნე. აქ ხომ გარდალეჭეა და გამოცოხნა მხოლოდ საჭირო იმის, რაც სხვა გაზეთებს ათას ჯერ დაულეჭიათ!..

გაზეთი მაშინ წავა ხეირიანათ და იქონიებს გავლენას, როცა ორი-სამი პირი იმისთანა სწერს შიგ, რომ კმარიფილებით მოელოდები იმათ სტატიებს. „ივერიის“ თანამშრომელ-მწერალთა გუნდი შესდგება სულ ერთი პატრიარქისა და სამი ოთხი დიაკონისაგან. პატრიარქის რა მოგახსენოთ და დიაკონები კი ყველა წყალ-წასალებია. მე კარგათ ვიცნობ ამ დიაკონებს, რა შეიღებიც არიან! მრთი არის მეტი-მეტი ლიბერალი, ბურთივით რგვალი, ნათლის-სახელი ღრილორა, მეტი სახელი გოლორა. მს პატრიუტელული დიაკონი არ იჩენს თავს, იმალება და კარგათაც შერება: შრომა და გაცემა უანგარო უნდა. მე მართლა დიაკონი გახლავსთ (ხუცოვიჩია, უმჯობესია ესთქვათ — ნადიაკენარი, რადგანაც დიაკონობაზე ხელი აალებინეს, იმიტომ რომ საწიგნეს თურმე ვერ სწელებოდა მეტი-მეტი სიღალის გამო. ახლა „ივერიის“ რედაქტიაშია, რადგანაც იქ არის ყოველ უადგილო დიაკონთა თავშესა-

ფარი ალაგი; ჰკითხულობს იქ დაეითნს ჭრას უადგილობრივი ნოს ორ-ორ ბისტს იღებს.

მეორე დიაკონი (ესეც ხუცოვიჩია)! უფრო გამბედავია: ეს ხან-და-ხან მაინც გამოჩნდება ხოლმე კულიან ვარსკვლავსავით 0. ალექსანდრიძის ფსევდონომით. მგ ის პირია, რომელმაც პეტრეს ქალაქში სულ ყურები გამოვგიჭება მამულ-დედულისა და ჰაი-ჰუს ძახილით, ბევრი თესლი მოაბანია ლიტერა — ნევსკი — სრელნე მეშჩანსკის ქუჩებზე და შემდევ ქალაქ რისლოვს გადაებარგა ქრისტიანობის თესლის მოსაბნევათ, მოასჯულა იქაურებიც და ახლა «ივერიის» რედაქტიაში ზის იგი, ვითარცა «სვერჩშტატი დიკონი»

აქ, შუაში, ანგარიშით კიდევ არის ვიღაც ორიოდე დიაკონი, მაგრამ იმათ თავს ეანებებო და პირ-და-პირ ხონელ დიაკონზე გადავდივართ. მგ სულ სხვა ნაირი დიაკონია (ესეც ხუცოვიჩი!), ამას ტოლი-ბადალი არა ჰყავს. კარგათ იცნობს იმას მკითხელი, რა მწერალიც ბრძანდება, მაგრამ რიგი მოითხოვს, იმასაც კუთხრათ ხოტბა. ბიოგრაფიულ ცნობებს ყოველი მწერლის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, და ამიტომ მოკლეთ მოვიხსენიოთ ამ დიაკონის ბიოგრატია. მს დიაკონი პეტერბურგში იჯდა ოთხიოდე წელიწადი, იჯდა მშიერი და მწყურევალი, ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ გამძლარიყო... ბოლოს უერიკაუ „დაიდახა, მიეარდა „სტრეკოზასა“ და „ასკოლ-კებს“ და დაიწყო ამა მეცნიერულ თღუზულებათა კითხვა: თან სიბრძნეს იძნდა და თან სიცილ-ხარხაში შიმშილი აეწყდებოდა. პი აქედამ და ასე დაიწყო მისი სწავლა-განათლება, ამ გვარათ განვითარებული ჩამოვიდა სამშობლოში და ხან რუსში სთოკავს „მჭერ-მეტუელების კანაცისაგან დაგრეხილის გრძელი ბაჭრით“ და ხან ქართველებს... მს დიაკონი ძლიერ დაკვირვებული მწერალი გამოდგა: მაგალითებრ ის ხშირათ ცირკებში დადის და ოთხფეხ ცხოველებს კუდებს უსინჯავს და ამბობს, რომ მათ ნამდვილი კუდები არ აბიაო და სხ. (იხ. სახელდახელოში ანუ წყალ-წასალებში)... ხონელი დიაკონი „ივერიის“, ცხარე ცრემლებით სტირის, ჰკითხებს და წუწუნებს: რედაქტია ვალად მდებს სტატიები წარვუდგინო და მე კი არ ვიცი, რა დაგეწეროვო .. ზინდა თუ არა, წელზე ფეხი უნდა დაიბჯინო, ილაჯი გაიწყვიტო დასწერო და სწეროვო!. და ხონელიც იწყვეტს ილაჯს, მაგრამ კი არ სწერს და სწერს, არა-მეღ სჯლაბნის და სჯლაბნის, ყბედობს და ყბედობს, აჭიაობს და ბაჭიაობს... მე თქვენ გეტუეთ და მასალა გამოელევა ამ გვარ მჯღაბნელთ. სანამ კუდები არ დაილევა ქვეყანაზე და მჭერ-სულელობის კანაფი,

ხონელის მსგავსი მჯღაბნელი ყოველთვის შეიძლებს
ბაწრების გრეხას.. .

ერთს უკანასკნელ ფელეტონთაგანში ხონელი
გულწრფელათ აღიარებს:

„Еще одно послѣднее сказаніе—
И лѣтопись окончена моя“.

მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ეს ეპიგრაფი ამ
გვარათ მოეცვანა:

„Всѣ глупости я выложилъ наружу—
И лѣтопись окончена моя“.

ხონელმა შარშან დაასრულა თავისი „მატიანე“,
დაასრულა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა.
რაც რამ ეწყო თავზი, სულ ორი თვის განმავლო-
ბაში გადმოალაგა და მისცა გაზ. „ქავაზსა“ და
„დროებას“ „ფიქრი თვისნი შავად-მღელვარნი.“
ამას შემდეგ ბ. ხონელს სხვა აღარაური დარჩენია,
კუდებილა დარჩენოდა დაუთვლელი და გაუსინჯავი
და ისინიც გასინჯა, — ამ კი ვურჩევთ ისევ ხონს,
თავის საგაზდლოში, წავიდეს და ამგასა და დავითნს
მოჰკიდოს ხელი.

აი სულ ეს დიაკვენები შეადგენენ გაზ. «ივე-
რიის» უწესა და განძს (დონ-ენ-ზე არაუერი ცული
არ გვეთქმის: ეს ერთობ ხერხიანი და ხელოვანი მე-
ფილებულნეა, ენაც მარტივი აქვს, მხოლოდ გრამმა-
ტიკაში ისიც სუსტობს).

მკითხველო! გულს ხელნი დაიკრიფე და გულ-
წრფელათ სტევი: რა უნდა შეიძინოს და ისწავლოს
გაზ. «ივერიაში» ან ანბანთ-მწყურვალმა და ან ინტე-
ლიგენტმა? რით უნდა დაკმაყოფილდეს მკითხველი:
ამ არეულისა და პელაბრულის ენით, თუ უმეტარი
დიაკვენების მეტიერებით?

სანამ თქვენგან პასუხს მივიღებდე, მე მსურს
შესხმა კუთხრა ბატონს და შევაქო მისი დიაკვენე-
ბიც.

ბ ა ტ რ ი ნ ი

მფიქრობდით : კვალად ილვიძებს მარგი მამულის-შეილია!.. კარგი შეესკოთ: დამ- დაკვენებს აჰეთ ილია!	ვით რედაქტორი, ილია არა გვშეუჩს..... «რაც არა პხამდეს ჩიო- რას, ნუ უყრით ასაკენკლადა!..»
---	---

რაც ძალ-გიძს, იგი აკეოე,
მეტს ნურეინ ითხოვ ჭევისაგან:

«საკა არა სჯობს, გაცლა სულის-მარიამი
მაცისა მამაცისაგან».

დ ი ა გ ვ ნ ე ბ ს

(დავითიანი: გვ. 51, თავ. ის; გეჭხ.-ტეატრის და სხ.)

მიუხაროდათ დიაკვენებს, საჯღაბათ გაჩაფრუ-
ლებსა:

«დაგვაჯღაბნინებს ილია, ვიშოვნით მრავალ ფრუ-
ლებსა!

ვისაც გვსურს, იმას ვაგინებო, გავიძლებო ლანძლვით
გულებსა...

ბედი გვეწია: საცაა, ახლა ვიცხონებო სულებსა».

ხონელმა ეგ სტევა: მეშველა, ახლა გაედღები პურითა».

ზოდორამ: «თევზით გავსკდები ზურგიელ-გვლაქნუ-
რითა».

აკოუგამ: „მივიპრუები ღვინით ჭავჭავაძურითა.“

სხვათა სტევეს: „დახე ამ წუწებს, სულ საორევა
ყურითა“.. .

ჩწვია ყველა ილიამ (სმა-ჭამას შეჩეულია!),
ზაუმასპინძლდა ქართველებრ, გადაუშალა გულია,
შოხრა: სვით, სჭამეთ, ნუ გრცვენისთ, ეგებ მო-
ითქვათ სულია...

„სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?
რასაცა შესჭამთ — თქვენია, რაც არა — დაკარგულია!“

ადგა სიტყვისა სათქმელათ ხონელი დიაკონია:
„დავითნში ასე სწერია: «სჭამეთ, სვით შესარგონია».
მე ამისთანა გახშამი *) აროდეს არა, მქონია:
ხონში სულ მჭადმა დამახჩო, ო დაიქცეს ხონია!..“

ილიკო უხეობს: გამოსუდენ მშიერი ხუცუშვი-
ლები,

მაგრამ მეტის ყბის ქნევითა სულ დაებლაგვათ კბი-
ლები.

შერვის უკბინეს კბილ ბლაგვთა, შეიქნენ დალრეჯი-
ლები...

სხვებს მოუქნიეს, თვით იცეს, თვით დარჩენ დაბეგ-
ვილები...

მოჰკვენ აჭია-ბაჭიას, ზედ დართეს ჭორი ტყვილები.

*) დაბალი ხარისხის სტუმრებს, როგორც გვსმენა,
ილია გახშამა ჭპატიულებს, სადიდლათ კი თურმე სულ სხვა სირ-
ტის, «ზაგრანიჩის», სტუმრები ჰყავს ხოლმე მიწვეული.

Տուրպոտ մամացն, սաքմե՛մ շամռացք ծալլեն, ի՞նչուղեծի...
Ծալլահո! մյժպյերս մոյսո մեցացս մամուլուս-Մյուղեծի!

Սալագիտն.

յ յշտահսո.
մ. թ. թ. 23-ս.

ԱԿԱԼՈ ԱՅՑԵՑՈ

◆ Ի՞նչ Շեզօնքյոտ, հռամ Ռծոլուսի աղմուհենուա յրտո մյելո երլոտ-նախյրո წոցն, սալաւ մռեսենմուլու մոտա հաստացըլուս ցարուո. Ամ սանուս Շեշաեց ՝ “Թյագրուու” նոմհրեծի մալյ յրտո վրուու լակեցքդի, սալաւ ցանմարտուու ոյմբեն մոտա հաստացըլուս նամուուու սահելու դա ցարու.

◆ Յ. Աճուրու ծենաՇեուուուսացան Շեգցենուու նուրիքո սկզբ լակեցքդա և ցամուու, հռմուուս ցիֆ. ցասո 1 ման. և 60 կ. ց ցասո սայմարուսու լուզու, մաշրամ ու թարմուցըցքն պայլա մի հուուլս սայմեցիս և լամածիկուուցըցը և սաշալուցըցը մուշչեցիս, հռաւ կո ամ ցարու նախահուցըցտա ծեպքուս լուուս եցըց լուուցըցրացըցիցի, մանուն ի՞նչ նաւուա լաւրի՛-մշնդցիտ, հռամ ց ցասո ասցուու ցամուումուստացուս լու առ սինդա ոյուս...

◆ Ամ կուրաս, ցուուուամու կարցա ծյեցի եալեսո ոյու, ամ գրուս յրտ կարուս մաելունծու երլեցիս յեցատ ցամուուրա մյուրեմ. Ամ ցացլուս գրուս սկապէլաւ ցալո երլու յրտ կարուս չունուս პորս մոնցու և նաւրուում Շեուու. Ամաչյ սկրապէս երլու և ց պորս չունուրատ ալուահյ. ԴամնաՇացը կո ուցուս ցամարտուցի և ծառուու լուուցը, հռամ սկրաւ մոմունցու ցասո.

ՀասՇուցլուս լմերտմա, հա նաու Շեմուեցյաս առ նախյուցի կալո.

Ամաս վուրետ ամաց ցուուուամու յրտ սկրուս սկատու ամուսալուս և ուսու հոցուր, մյուպաւում մռասի հյը.

ԲՈՒՈՍ ՖՈՎԱԿՈՒ

Ե մելյուրա օմեաս ոյրտուսենուս:
Տի ց Քաջեցյու գըյեր,
յիջուամ լույս իմուրսուս,
մուս Վյուշյու ուուցու քնյեւու!

Պյումիշերուս ոյրտուու-Շյուրուամիու-Շարուուս
միշանցյուս Ծյա և յիլու,
յիացուուուս յիյա մյունարյ,
քըյեա դռու սանաւրուու.

Համ-լամու մուզարյ յա մշամաս
Պյուրու ց անձագուու-Ցյու,
և սեցյուս աղմացըց մայսանաս
շնյեսու ց ամեկուու ց յու-Ցյու.

Ցալցույցյու յունյես
յիյեսարսու տայու նյուսաւ
և մաս նուցա և մոյս
գասուուս, յիյաւուս մյուրուսաւ...

Ճի մյու հյարա մուցմյենո
Կուզույնուս մյուրուսաւ
և յիյաւուսու լունուուս նմուտ
գասուուս, յիյաւուս մյուրուսաւ...

Հայ Ցուուու ի՞նչ յիյաւուս, լունու-Ուրուուս
և լունյուս նայույնուսաւ,
և մայսանցյուտ մատ յիյաւու
մենցույնուս և յիյաւուսուսաւ!”

մաս ռում մլյուրու ոյրտուսենու,
մյ ց յու մալունցյուուա,
մուտ ռում մյ մի լուս մռմասցան
հալաւու մայունցյուուա.

ԵԿԱԼՈ ՑՄՈՒՈՒՐ

II

ց ս յիյանսեցյու ատո լոյ, միյու առ առ, յի-
սանօնեաց ջլյուա օյնյուս յիյուսուու այսար մարտայ-
մո. մույցլյու ռու ց ցարունուու յահաւո, և յուուու ա-
նայրու, ռույցլյու ռույցլյու սասմաւուում կուրուսենու հ-
սասլյուս ց ցարունուու ատո վլյուտ, մարտա իսացուս լունուուս
մահյույլմա անեսյումս յասմուս կունուու ռմեցուրս սամունծուուս
միյ առնուս և նուգուս յու ուցու միսեցյունչա... Շուրուու
յիհաւուցան օյու և. մատուրու, սահաման ց լոյս գոց-
ցամյ, ռույցլյու սամունծուում յալուրուուս նուցյուտ մուցրա
յուու ուցու մույրացուս մյուլուուուստուուս, մարտա նուցյ-
ուու քնյունյու օմեասմյուր վարույնուս մացյուր, մայսարու
ուցուս սամունս սմանուս ույյուս և դրյուս, մայսարու

მათში დღე-დღე და დამ-დამით ეწეოდა უქმროდ დარჩე-
ნილ მანდილოსნებს.—ასე იმაღა თავი რეა წელიწადს.

მერე, სამა წლის წინად გაუჩაღებული ღარმჯარია,
რომელსაც აგრეთვე პატრილა ქონდა გარდაწევერილი...

მესამეს ხევდრი მართლაც შესაბრაზისა. ამ რეა
წლის წინად წვრილ-შეილის ჰატრის, მოხუცებულ გაცს
უცემეს მმა, რომელიც თავ-გატეხილი მივიდა მასთან და
შესტრიო. გაბრაზებულმა მმა თავს გამოიდო მმის ცემა,
დასკვა მისს გამდასკეფებს საფლის ვიწრო შეკაში და
რაც დღე მისს მმას დააუენეს იგივე დღე მიაუენა მათ.
სამსჯავრომ ათი წლით ასტრისანში დასხლება გადაუწე-
ვარი. რამდენიმე თვის შემდეგ უბედურ გარემოებათა
მსხერშლმა გაიქცა გზიდან, როცა ოზურგეთში მოქადან
ვიღაცის საქმეზე მოწმედ საკითხევად.

* *

ამ უამად რომ გურიას დედა ქალაქში შემოსრბანდეთ.
უთურდ, უკველ მხრიდამ მაგესმისთ ფურნებთან შეკ-
გუფული სალხის კვირილი: «შერი და შერიო!» — რა
ამავა? მაინცა და მაინც არაფერი — ცორა რამ გაუგებ-
რობა გახდავსთ. დაგილობრივია შოლიციამ სამართლიანად
განიზრასა შერის ნიხრის (ტაქსა) დაწესა და ეს არ ეპიტ-
რავათ ბ. ბ. მეფენებებს და სასახევროდ შეამცირეს შერის
ცხობა. თასაც აცხაბენ იმასაც უწინდელ ფასებით (გრი-
განქა შეურდან). შოლიციამ შეუდინა მათ რამდე-
ნიმე აქმი და სამსჯავროს გადასცა. ჩენ კა ამას ვიტყვით,
რომ თბილისის ნიხრთან შედარებით აქ ნახევარ ფასად მაინც
უნდა იყიდებოდეს შერი, რადგანაც ურგელ გრარი სარჯი აქაურ
მეფენებებს იმის ნახევარიც არ აქვთ რაც თბილისებულებს.
მოტანის (აქ მსოლდოდ ყირიმის იქვეიდს სმარობენ) და
ფურნებთა ქირის სიმცირეს რომ თავი დავანებოთ, მარტო
შეშის ფასის განსხვავება (აქ საუნი დირს 7—10 მანა-
თი, თბილისში 30—50 მან.) შეამდებინებს აქაურ მე-
ფენებებს იმის ნახევარ ფასად ჭიდონ შერი, რა ფასება-
თაც თბილისში წყიდიან...

* *

გისაც ჩენი შატრიცემულის შედაგოის 0. გოგება-
შეილის ბურების კართან დართული რეგა უნისავს, ის
ამოვითხავდა, სხვათა შორის, რომ გურიაში 50,000
სული სცხოვრებსო. ეს ცნობა დღეს ძეველ და შემცდარ
ცნობად უნდა ჩაგთვალთ, რადგანაც წლებანდელი ცნობები,
რომელიც შექრიბა ადგილობრივმა შოლიციამ, გვამ-
ცნებს რომ ამ უამად სამოცდა ათი თასზედ მე-
ტია *) ურგელ წლიბით მცხოვრებთა რიცხვი კმატება
1200—1800 სული, მაშინ როდესაც მოედი წასრუ-

*) დაწვრილებით ცნობებს შემდეგ მოგახსენებთ.

ლი რმიანობის დროს 300—400 საკუზულ მეტიარი შატრო
ბადებულა. არ უნდა დავივიწეოთ რომ რეა ასიოდე მარტო
ამში დაიხოცნენ და ერთი ამდენი გადევე, თუ მეტი
არა, იმსვერცლა სხვა-და-სხვა ავადმეტოფაბი, რომელიც
მეტიარებდა მაშინ ჩენში. მაშასდამე თმიანობას არა თუ
მცხვერებთა რიცხვის ზოდა შეუმცირებია, ასამედ თვით
მცხვერებულთა რცხვიდან გამოუქდია იმდენი, რამდენიც
გარემოებათა ნორმალურის შფგომარებაში ერთს წელი
წალის უნდა მომატებოდა...

—

ვ ე ლ ე ტ რ ი

კ ი ს ს უ ლ ი

ჩენს ქვეყანას ზოგიერთი პოეტები უწოდებენ —
და სამართლიანალაპ — გმირთა ქვეყანას. თუმცა, ჩენი თანამედროვე მელექებს ამბობს:

«ელავ შეფერხდა ისტორია... და სხ.,

მაგრამ პოეტის უიმედობა ტყუილი ყოფილა და,
ძალითა ღვთისათა, გმირთა ქვეყანას გმირები არ ელე-
ვა, სიტყისამებრ წინასწარმეტყველისა, რომელიც იტყ-
ვის: «რამეთუ არა მოაკლდეს თავადი იუდას და წი-
ნამძღვანი წელთაგან მისთა!.. პამერიდებან თორმე-
ტი რიცხვი მარტისა მოელს საქართველოში სადლე-
საწალულო დღედ დაიდება,— და შეიძლება ეს დღე
თავისი მაღალ მნიშვნელობით კიდეც აღმატოს
ქართლოსის მოსვლასაც, ზარნაოზ მეფის მიერ
ქართული ანბანის შემოღებასაც და სხვ. რაჭ-
ველი მესტეირები ამ დღის გმირთა საოცარს მა-
მაცობას გაპლექსენ და ჩენს შემდეგ შთამომავალთ
ლექსად მოუთხრობენ; დიდებულნი პოეტი: სკანდა-
როვი, ზივიშეილი, რიქან-ოლლი, ზ. პიჭინაძე, ან-
ტონ ფურცელაძე და სხვ. უძლვინან მათ თითო ფუ-
თიანს პოეტებს, ვაჟა, თუ კაფა-ფშაველა დასწერს:

«ოთხშაბათ ღილა გათენდა,

ლეშით მაძლარი ყორნები

მთის კინჭუხებში სხდებიან,—

ჩახენ ასხმული ბატები

საომრად ემზადებიან!..

მნა მოქნილი „გადიები“ ძილ გამკრთალს და
გაუინიანებულს ბატონის შეილებს ზღაპრად მოუთ-

რობენ თორმეტი მარტის გმირთა მამაცობას და, ვინ იცის, რომელსამე უდაბნოში განდევილმა საქართველოს პიმენმა კიდეც შეიტანა თავის მატიანში: და მოუყვლინა უფალმან წელსა მას სახმილისასა ბაშიბუზუთა მწერალთაგან დაჩაგრულს ქვეყანას მხსნელი ახალი-ბებუთოვის ქუჩით და რქვა მას: «აღილე კვერთი იგი ხელთა შენთა და წარვედ... და სხ.

შემდეგ წლებში „ივერიის“ მკითხველი საკალენდარი ცნობებში 12 მარტს ყოველთვის ამოიკითხავს: «ლიქსთა მამათა ჩვენთა: ორთა ილიათა, ზრიგოლისა, იაკოფისა, მოლა ბაშირისა და სხვათა დამსთრგუნავთა ყოვლად წყეულისა მის დავით სოსლანისათა და სხ. და სხ.

* *

ერთის სიტყვით, თორმეტს მარტს ახალი ბებუთოვის ქუჩა და მთლად სოლოლაკი არა ჩვეულებრივს სანახაობას წარმოადეგნდა. მრასი დასტა ზურნის ჭყივილი, თართა კვენსა, დაუ-დაუთა და საყირთა ცემა, კამეჩთა ყროცინი, მოზერთა ზმული, ვირთა ყვირილი, ღორთა ჭყიტინი, ალამთა ფრიალი, ხმალთა ბრიალი, ისართ სრიალი, მაჟართ და ჯაიზართა გვრგვინვა, ლუარსაბთა ხერინვა, დარეჯანთა კილვა და ათას ნაირი, კალმით აუწერელი ხმაურობა და ყიქინა ჰაერს ჰევდა და მიწას ანძრევდა. არამა თუ ფშავ-ხევსურთ, მოხვევ-მთიულთ, კახელთ, ქართლელთ, იმერთ, მდიშელთ, სვანთა, გურულთა და სხ., აქ შეყრილიყვნენ სპარსნი, თურნი, ევვიპ-ტელნი, მაშრიყნი და მალრიბელნი. დერეფანს წარმომდგარიყო ჩვენი დიდებული პოეტი ილია, წერწეტისა ტანზედ ემოსა «ჯაჭვი საკურტაკე», თავს ეხურა მუზარადი და ფერხთა ეცვა თეთრი წალები, ჭვინტ შემოგდებული, მუზარადზედ ჰქონდა გადაბურული ყაბაჩა დაუდებელი ფასისა, მარჯვენა და მარცხენა მხარს განუმტკიცებდენ ლომგულნი პლექსანდრიძე და ხონელი,—და სხვა მუშაითთა დასი. ზღვათა აურებელი ხალხი მათ თაყვანის საცემლელად მოგლეჯილიყო დღეს. ქალი, კაცი, მოხუცი და ყმაწვილი ტაშა სცენდენ და ვაშა, ვაშა შეკვიოდენ...

* *

სწორედ მოგახსნოთ ღირსნიც იყვნენ საოცარნი გმირნი ამ არა ჩვეულებრივი დიდებისა. თორმეტი მარტი ერთსა და იმავე ღრუს არის გამარჯვებისაცა და დამარცხების დღეცა გაზ. «ივერიის» რედაქტორისათვის. ესე იგი ჩვენ თვალში და ყველა სხეისა-შიაც, ვისაც კი შეუძლიან პირუთნეველად შექვედოს და შესაფერი სახელი დასდოს საზოგადო მოვლენას,

თ. ილ. ჭ....ძის ლილახანა მთლად წერმატერთველი უნდა ჩაითვალოს; თითონ კი მოლანდებული გამარჯვებით ძალიან კმაყოფილი არიან და სიხარულის ასკი-კუუს უვლიან. იმ დღიდამ პატივცემულმა პოეტმა უარ-ჰყო თვისი ღრმა და გრძელი მოძლერება, რომლითაც თითქმის თავი შეგვაწყინა, ლიტერატურულ ზრდილობიანობაზედ, საზოგადო პრინციპების მტკიცე მიმდევრობაზედ, აცყვა გულის თქმას, ხელთ აიღო შვილდ-ისარი და დაბლა ჩამობრძანდა ჯანყითა და ბურუსით (ბოლიშ ვახდით ბ. ხონელთან, რომლისთვისაც ეს ჯანყი და ბურუსი იმ წითელ მაულად გარდაქცეულა, რომელიც ისე აფეთიანებს სპანიის ცირკში მოხვერებს!) გრძელი ული პარნასილამ საომრად, და რა გამოიდა?—ის, რასაც რუსულად იტყვიან ხოლმე, რომ გორა რიდა მყშე! ვნახეთ მისი მკლავის ძალა, გამოტყორცნილი ისრის პირი, რაზმათა წყობა, — გულში გაგვეცინა და ესთქვით: «не такъ страженъ онъ, какъ его малюютъ! მონადირეს მაშინ უჭირს, მინამ ნადირი სოროში იმალება, თორემ რაკი მინდერად გამოიგდებს, მაშინ იმის კამათლები ღუშაშია მოსული.

* *

რა მოხდა შემაწრუნებელი! რისთვის იწუხებს თავს „ივერიის“ რედაქტორი და მთელის თვის განმომავლობაში აწუხებს თავის მკითხველებს, რომელთაც მისს დახლში თუმანი შეუზანიათ? თუ თქვენი თავდაპირებელი განძრახება ყოველ ღლიური გაზეთის დაარსებისა იყო ერთად ერთი პიროვნების უშვერილანძლვა-თათხეა, მაშინ თქვენ, საზოგადო მოლვაწედ ცნობილს კაცს, არ უნდა გეკადრათ და საზოგადოებისათვის მიგემართათ ნივთიერი შემწეობისათვის. ლანძლეთ და ათრიეთ, კნიაზო, ვინც გნებავთ,—თუ იმედი გაქვთ, რომ ამ ნაირი თქვენი გარჯიშობა მშვიდობრანად ჩაგივლით,—თქვენის საკუთარის ხარჯით, და არა საზოგადოებისა, რომელსაც სრული უფლება აქვს მოგთხოვთ თავისი საფასის მაგიერ რამე სასარგებლო გრძნობისა და გონებისთვის. სრული უფლება მაქს გაითხოთ, ბატონო; რომელი უფრო უპატიოსნებაა თქვენი გაზეთიდამ რუსულად გადაღება რომელიმე ფაქტისა, თუ საზოგადოების ხარჯით დაქირავება სხეა-და-სხეა ლაშვანდურა დიაცებისა ერთის კაცის სათათხავად? დავით სოსლანმა მოგარათ თქვენ რა? საჩიჩო საბადებელი?—არა.—გულის საყვარელი?—არა. ვილისსოფიური, მათემატიკური, მედიცინური გამოკელევა, თუ პოეტური თხზულება?—არა და არა! მაშ რა?—ის, რომ ფშაველებში ხევის-ბრობა და წაწლობა ჩვეულებათ არისო და ზედაც

დატანა: «თუმცა მეც ვიცი მათი ჩვეულება, მაგრამ რადგანაც «ივერიაში» დაბეჭდილი სტატიების აეტორ-მა, როგორც ბუნებით ფშაველმა უფრო კარგად იცის, ამიტომ მისგან მოგროვილი მასალითა ვსარგებლობო». მატო ეს არის მისგან ჩადენილი. საქმე, რომლის შესახებაც თქვენს მკითხველებს არწმუნებთ: „თუმცა დავით სოსლანი ამდენ ლაპარაკად არა ღირს, მაგრამ მისგან ჩადენილი საქმე იმ გვარია, რომ უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება“. ზატეხილს მოგახსენებთ და კადნიერებისთვის ნუ შემრისხავთ: თქვენის ერთის თვის, ყოვლად უსაფუძლო კამათით დავით სოსლანის საძაგლობა კი ვერ დაამტკიცეთ და მკითხველ საზოგადოებას კი თვალები აუხილეთ და ზოგიერთი ბურუსით მოცული საგანი ცხადად დანახვეთ. მაგალითებრ, თქვენ ნათლად დაუმტკიცეთ საზოგადოებას, რომ თქვენ მტრობას და სიმძულვარეს დავით სოსლანისადმი საზღვარი არა აქვს; თქვენ ერთხელ კიდევ დაამტკიცეთ, რომ წყალ წალებული ხავს ეჭიდება; თქვენ დაგვარწმუნეთ, რომ კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, პირველად ჭიუას წაართმევს და სხ. მაშ თუ თქვენ კატონის მოქალაქობას სჩემოთ და პურიტანულს მტკიცე ზნეობას, არატომ არ აშკარავებთ საქვეყნოდ იმ ვაჟ-ბატონების ბილწ მოქმედებას, ვისაც თანამოძმის და მთელი საზოგადოების უმეტერებით უსარგებლია და თავისი ჯიბე გაუსუქებია? ვისაც ქონება და სახელი შეუძნია ქურდობით, აუზაკობით, ცბიერებით და ათას ნაირი ავ-კაცობით? ვისაც გაუქელავს და შეუგინებია უმანკო ქალის წრფელი გრძნობა, განუსაზღვრავი ნდობა და ის ღარიბი ბოლოს უგრძნობელი ოქროთ საქსე ტომარაზედ გაუცვლია?.. ზანა თქვენსაერთ მოლეაწეობს ის, ვისაც მართლა თავი დაუერწყნა საზოგადოების კეთილდღეობისთვის? როდესაც ნაპოლეონ პირველი იმპერატორის ტახტზედ ავიდა, ერთმა კარის კაცთაგანმა შესხმა მოახსენა და დიდი ფრთხები შეასხა მის მაღალ ნიჭს, რადგანაც კაცობრიობის ისტორიაში სამაგალითო იყო რომ არტილერიის პოდ-პორუჩიკი საფრანგეთის იმპერატორად გახდა. ნაპოლეონმა მწარედ გაიღიმა და უპასუხა: მე ჩემს ბედს მაინც ვემდური, რომ გვიან დავიბადეო, ამიტომ რომ როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთში მიიღიდა და თავის თავი იუპიტერის შეილად გამოაცხადა, ყველამ დაუჯერა და თაყვანი სუა. მეც რომ ქხლა იმისაეით მოვიქცე, უბრალო სოფლელი დედა-კაციც კი სიცილით მოკვდებაო. თქვენთვის, პატიცერებულო ილია,

საჭიროა ყოველთვის ხელის გულზედა, გამარტინი დაწერილი...

* *

გ. ხონელი! ვმ, ხონელი! სასაცილობაზედ გადიმეტია ამ ვაჟ-ბატონის თავხელი გამშედაობა და ვითომ პოლემიკური ვარჯიშობა. ჩვენ დაწერილებით ვიცით, როგორც იწერება «ივერიის» თანამშრომლების სტატიები და ამიტომ არას ვიტყვით ამ ლიტერატურულ ყვინჩილაზედ, რადგანაც არა უწყის, რასა ვწერება. ან კი ჩა ითქმის იმისთვის „ლიტერატორზედ“ (აფსუს!), ვისაც ირონია ვერ გაუგია და ბ. მირიანაშვილსა სწამებს „კოზლიკის ხმაზედ სიმღრებების გავრცელებასა ქადაგობსო?.. მრთის სიტყვით, რუსეთის გამოქვებილი პოეტისა არ იყოს,

„Стыдить лжецов.....

И спорить съ «иверницами все тоже,
Что черпать воду рѣшетомъ.

Отъ сихъ троихъ избавь насть Боже!“

მთიული.

შეულილი სიყვარულისაგან *)

დღაში 5 მოქმედ. თხზ. დონ-მანუელ ტამასი და ბაჟისა

ძეგლი III

დარბაზი სასახლე-კონეტაბლიაში, ბურგოსში. სცენის სილრმეში სამი კარებია; კარებები აქეთ-იქით მხარეზე. ძარები მარჯნივ მეფის სასვენებელ ოთახში, მარტენივ დედოფლის სასვენებელ ოთახში. მრი სტოლი, ერთი მათვანი მარტენივა დგას ავანსცენაზე.

ძეგლი I

დონ ხუან-მანუელი, მარკიზ დე-ვილიენა, მერე ვერე; აღმირალი და რამდენიმე სხეა დარბასისელნი, სუსელაზე ბოლოს მარლიანო.

დონ ხუან მანუელი. როგორც გითხარ, მეგობარ პაჩეკო! მე ყველაზე ძრიელ ეს მაკვირვებს რომ

*) იხილე „თეატრი“ № 10.

ამ მოკლე ხანში დედოფალს ასე ძალიან შეუყვარდა თვისი უცნობი მეტოქე.

მარჯოზი. ამ გვარ საქმეებში არ მინახამს ამის-თანა მოხერხებული კაცი, როგორიც ჩვენი მეფეა. დონა ხუანას ძეირად უჯდება თვისი ეჭვინობა. ხომ ნამდვილათა გაქვთ შეტყობილი გვარი და სახელი ამ უცხო ლაშაზი ქალისა, რომელიც თქვენი წყალობით სასახლეში მანდილოსნად არის მიღებული?

დონ ხუან მანუელი. სახელი, რომელსაც დონა-ბეატრისა ატარებს, მოგონილი სახელია; წინად ამას ალდარა ერქვა. მისი ჩიმამავლობა კი თვით მეფემაც არ იცის.

მარჯოზი. არ გეშინიანთ დედოფალმა რომ ეს ამბავი შეიტყოს?

დონ ხუან მანუელი. ის თავის დღეშიაც ვერ შეიტყობს, რადგანაც ალდარა ჩემს ნათესავად არის სასახლეში მიღებული. იმასთან ერთად ბევრი სხვა მანდილოსნებიც მიიღეს, ისე რომ დედოფალს ვერა გზით ვერ შეუძლიან ეჭვის აღება. ჩვენ გარდა ალ-დარას სუკელანი ჩემ ნათესავათა სთელიან.

მარჯოზი. (ვერეს, რომელიც მეფის ოთახიდგან გამოდის) რას იტყვით, ბატონი ვერე, დედოფლის დატყვევების შესახებ? დათანხმდა მეფე თუ არა გრან-დების წინადადებაზე?

ვერე. მს ახალი ამბავი არ იყო ისე აღტაცებით მიღებული, როგორც ჩვენ გვეგონა.

დონ ხუან მანუელი. თქვენ ასე მალე ნუ შეშინ-დებით. მე ეს ნამდვილათა მაქეს შეტყობილი, რომ ბევრს ხელ-წერილი დაუდვია—დექმაროვ მეფეს, თუ ეს უკანასკნელი დედოფლის დატყვევებას მოინდომებს. სუკელა ესენი ყოველ გვარ ზომებს მიიღებენ—რომ ხალხი არ აღელდეს.

ვერე. მისმა დიდებულებამ უხვი ხელით დარიგა საჩუქრები და ჯილდოები, მექროს რუნოთი კასტი-ლიის ბერი გრანდი გაახარა.

დონ ხუან მანუელი. საქმისთვის ეს არა კმარა. ვერე. უკველ გვარ განძრახვათა შესრულებას მისი დიდებულება—თქვენს მუყაითობას ანდობს. დე-დოფლის შეშლილობა ძალიან აზიანებს სახემწიფოს რიგიანად წინ მსკლელობას. დონ ვილიპეში კასტი-ლიელები იპოვნიან მართლ-მოყვარე და მამაცს მეფეს, თქვენ კი იგი გეგულებოდეთ მეგობრად, რომელიც მზად იქნება მიიღოს მხედველობაში ყოველი თქვენი ბრძნული რჩევანი.

მარჯოზი. რასაკერელია სამართლიანად ინება მე-ფემ, როდესაც დედოფალი იზაბელასაგან უკანონოთ წარომეული ვილოონის მიწები უკანვე დამიბრუნა.

ვერე. თქმა აღარ უნდა რომ მეფეს ძრიელი

მტრებიცა ჰყავს. ბევრი გრანდი ანდალუსიდან უკ-რაჭუნებს ამას კბილებს; გრალოგი ალბა მომ ჭირია იბერის. პლმირალი...

დან ხუან მანუელი. აგერა ესაც...

ადმირალი. (შემოვა შუა კარგიდგან რამდენიმე დარბაისლებით) ხომ არ იციო, ბატონო, დღეს მეფის დასწრებით რა საგანზე იქნება რჩევა.

დონ ხუან მანუელი. მეფემ გადასწუყიტა თავისი უბედური მეუღლის დატყვევება და ეს გარემოება უნდა გრანდებს შეატყობითს და ამისათვისისაც. დაი-ბარა ისინი.

ადმირალი. დაჯერებული ბძანდებოდეთ, რომ ამ მოუფიქრებელ განძრახვას ცუდი შედეგი მოჰყვება.

დონ ხუან მანუელი. უკრო თქვენი და თქვენი თანამოზიარების განძრახვანი არიან მოუფიქრებელნი.

ვერე. მისი დიდებულება თავის მოვალეობას ასრულებს, ბატონო ადმირალო!

ადმირალი. სრულიათაც არ არის გასაკეირალი, ბატონო გოჭმარშალო, რომ უცხოელების გროვას, რომელიც თქვენი წინამდლრობით მოქმედობს, სურ-დეს მასტილის დალიჯი მეფე ვილიპეს საკუთრებად გახადოს.

ვერე. რაინდები...

შერგელი დარბაისელი. (გამოდის რამდენიმე სხვა დარბაისლებით მეფის ოთახიდგან) მეფე ძალიან ბევრსა თხოულობს.

მეორე დან ისელი. ჩემ ბატონები, მის განძ-რახვას კევიანურ განძრახვათ კოვლით.

დონ ხუან მანუელი. დონა ხუანას ველარ შეუძ-ლან მეფობა. მაშ სხვა ვილას, ეკუთვნის გვირგვინი, თუ არ დონ ვილიპეს, მინამ პრინცი დონ მარლოს მცირე წლოვანი იქნება?

ადმირალი. გათხობილდთ, ბატონებო! მარტო კორტესებს შეუძლიანთ სჯა ამისთანა საჭირო საქმე-ზე. მალიადელიდის კოსტესებმა ტოროს კოსტესების მიხედვით აღვიარეს დედოფლად მასტილისა ქალი-შეილი ბზადელასი და ფერდინანდი. ამ ქალაქების წარმომადგენელო არა სჯერათ ის უსირცხო ცილის წამებანი, რომლების მეოხებითაც თქვენ იმას დალი-ჯის წარომევას უპირობოთ. ნუ თუ სახემწიფოს წარ-ჩინებული დარბაისელნი უფრო ნაკლებათა სცემენ პა-ტიესა უფლებას? დონ ვილიპესა სურს იარაღით წი-ნალუდეს ხალხის სურვილს. ნუთუ თქვენ ხელს შე-უწყობთ მის უზურპატორობას და უსამართლობას?

ვერე. და თქვენ ამას ლაპარაკობთ სასახლეში?

ადმირალი. სასახლეშიაც სიმართლის თქმა სა-ჭირო; ვისაც ბურგუნდის პრინცის განძრისებისა არ ეშნიან, წამობდანდეს დედოფლისაგან დანიშნულ აუ-

დიენციაზე. იქ უველა დარწმუნდება რომ დედოფალი ლირსია დალიჯისა და ჭკვუითაც სუყველა იმათზე მაღლა დგას, რომლებიც ავრცელებენ მის მითომ და ჭკუაზე შეშლილობას...

შარლიანთ. (დედოფლის ოთახიდგან გამოდის) მე ექიმი ვარ დედოფლისა, ყოველოვის მასთან ვარ და მის აზრსაც ვეთანხმები. (ჩურჩული სასახლის დარბაისელთა შორის).

შინკველი დარბაისელი. პატირალო, საღარბაზოდ მე თქვენთანა ვარ.

მეორე დარბაისელი. ჩვენც.

ადმინისტრი. მე მალე დავბრუნდები, ბატონებო. (მიღის კარგითან, რომელიც სცენის სიღრმეშია, უკან რამდენიმე დარბაისელნი გაჰყებიან)

შარლიანთ. ღიან ხუან მანუელო, მისმა დიდებულებმა ბძანა რჩევა შეაღვინეთო.

დღის ხუან მანუელი მივდივარ შესადგენად.

გერე. ვშიშობ რომ მიზნამდის ვეღარ მივალწევთ.

შარკიზი. ტყუილი სასოწარკვეთილებაა.

სცენა II

მარლიანო, მერე დედოფალი და ღონა მლეირა

შარლიანთ. მე ტყუილს მართალი დავარჩეა? ცუდათა მცნობს უსამართლო მეფე! ჩემი შესანიშავი ამხანაგები ძრწიან მის წინაშე და ზოგნი საჩუქარსაც მეელიან და ამისთვის გაუყიდით სინიდისი; მე ამას ვერ ვიქ.

დედოფალი. (გამოდის მლეირასთან ერთად თავისი ოთახიდგან) ნუ ეჭვიანობ, ელეირა მეფე ჩემში დაჯერებულია.

შარლიანთ. თქვენი დიდებულება ეხლა ხომ კარგათა ბძანდება?

დედოფალი. დღეს ეს სამჯერ ვიტოხავს.

შარლიანთ. თქვენ ჯანმთელობას ქვეყანაზე უვლაფერზე მაღლა ვაყენებ. (დაუკრავს თავს და მიღის.)

სცენა III

დედოფალი და ღონა მლეირა

დედოფალი. გარწმუნებ, მლეირა, რომ სრული გულის დადება აზიანებს სიყვარულს.

გედგირა. განიფანტეთ თავიდგან, დედოფალო, მაგვარი აზრები.

დედოფალი. დიახ, ეხლა ვილიპე შეფულების უფრო ალერსიანად და უურადღებით მექუვა და წინანდებურად მარტოკა იშვიათად დამტოვებს ხოლმე. მე ვართუბ, რომ კაპიტანს მევე როგორლაც ცუდი თვალით უსქერის. რა იქნება რომ ამ ამბით ვისარგებლო და მისი სიყვარული ხელმეორედ დავიძრუნო?

ელგირა. გარწმუნებთ რომ თქვენი ქცევა მეტის-მეტად გაუფთხილებელია.

დედოფალი. ჩა ბედნიერნი ხართ რომ აგრე კეთილ განიერად იქცევით. ამის უფლებას უბედურება იძლევა და კეთილი მიზანი მოწმობს ამას. ჩვენ ერთი ორად ვაფასებთ იმ სიკეთეს — რომლის დაკარგვასაც ეშიშობთ. დევ იმანაც შეიგნოს ის სიტრთხილე, რომელიც არასოდეს არ უგრძნია. ამდენმა ტანჯვამ რა არ მაქნეინა და მგონი ამასაც კი მოვესწრო, რომ თავზარი დავცე მისთავმოწონობას. მე მას სრულიადაც დავიერწყები, მაგრამ მე ეს არ შემიძლიან და არც უნდა დავიერწყო. ეს მარტო ქმარი კი არ არის, იგი მამა ჩემი შვილებისა. მისი გულის მოგებას მარტო ჩემი გულისთვის არა ვშვრები, ჩემი შვილების გულისთვისაც

ელგირა. ალვარმა რომ თქვენი კეკელაობა მასთან განმარტოს...

დედოფალი. ისე როგორც სასახლის კაცმა? არა, ალვარზე მე ამას ვერ ვიტყვი. საბანაკო ცხოვრება ისე არა რყების კაცსა, როგორც სასახლეში ცხოვრება. ქეთილი ალვარი მე დედა-კაცად არ მიცნობს, იგი მიცნობს მე დედოფლად. ვილიპე ეჭვი ავალებინო! ასეთი ბედნიერება მთლად გამკურნავდა ეჭვიანობისაგან. — არა გინდა შენ? მე თაყვანსა ესტე ჩემს მეულლეს; ეს უბედურებაა, მაგრამ ამის წამალი არსიდ არის. მე მან ბევრი მტანჯა, მაგრამ სუყველა ეს შემინდება იმისთვის, თუ კიდევ არ მამატყუებს. როგორა ჰერიქობ — გერნანი როდის დაბრუნდება?

ელგირა. დღეს მოველი.

დედოფალი. მხლა კი ენანობ რომ მე ის იმ დაწყევლილ სასტურიოში გავეზავნე. ტყუილათა ვფიქრობდი, რომ მეფე იმ ქალს ბურგოსში წაიყვანს მეთქმ. მხლა ეს ფეხსაც ვეღარსად გადასდგავს, რომ მე ვერ შევიტყო. ზეთანხმებით: მე ძალიან ეჭვიანი ვარ. დარწმუნებული ვარ, რომ გერნარი იპონის იქ იმ ალდარას, რომელმაც ამდენი მწუხარება მამაყნა.

ელგირა. თქვენ ეს მაშინ უნდა გენახათ, როდესაც მისი წყალობით, სასტუმროში ბძანდებოდი.

დედოფალი. როდის უნდა მენანა? მაშინ ხომ მეფეს ვეღარ მოვშორდი, როდესაც ჩემს დასახმარებლად დონ ალვარი გამოვიდა.

ეფურა. დონ ბლვარშა რომ მეფეზე ხმალი ამო-
ილო.

დედოფალი. რომ ვერ იცნო—თუ ვინ იყო იგი,
მეფემ შეუნდო იმას და სასახლეშიც მიიღო.

ეფურა. მაგრამ მეფეს მაინც-და-მაინც მიზეზი
აქვს დონ ბლვარზე უკამაყოფილოთ იყვეს. თქვენ კა-
პიტანს საფრთხეში ჩაგდებთ—თუ კიდევ მიზეზს მის-
ცემ—მეფე უკამაყოფილოთ იყვეს იმაზე.

დედოფალი. ბოლოს ყველაფერს გამოვაშვარა-
ვდ. რა იქნა ბეატრისა? რატომ აქამდის არ გამოვი-
და სალაშის მოსაცემათ?

ეფურა. თქვენ როგორ მალე შეიტყობოთ ეს მან-
დილოსანი?

დედოფალი. მეც არ ვიცი რათ. მაგრამ, არა,
ტუუილია—ვიცი. ზავწითლდები და ისე გაგიტუდე-
ბი... მე ეს მიუვარს იმისთვის, რომ ამას ჩემი ქმარი
ეჯავრება. მს შემთხვევისა დაგვარად უსაყველურებს
ხოლმე მეფეს, ბევრში ვეთანხმები მაგას...

ეფურა. (თავისთვის) ნუთუ მე შემცდარი ვაჩ?

დედოფალი. (მივა ფანჯარასთან) დაინახე, აგრ
მოდის დონ ბლვარი; იგი ჩაფიქრებულია. შეკველად
ეს თავის დიდებულ სარდალზე ფიქრობს; იგი მუდამ
იმაზე ლაპარაკობს.

სცენა IV

იგინივე და პლარა, მემრე მეფე

ალდარა. (თავისთვის) ვის უმზერს იგი ასე გუ-
ლის დაპყრობით. (დადგება დედოფლის უკან და
ესეც დაიწყებს ფანჯარაში ცეკვას) ახ, ეს იმას უც-
კერის, იმას!

დედოფალი. ბოლოს როგორც იყო დაგვენახე-
ვით, სენიორა.

ალდარა. როგორა ბძანდება თქვენი დიდებუ-
ლება?

დედოფალი. ძარგა, ძალიან კარგა! თქვენ? პათ
ხომ არა ხართ...

ალდარა. არა, დედოფალო!

დედოფალი. მლეირას შემდეგ მე თქვენ ძალიან
მიყვარხართ და თანაუგრძნობ კიდეც თქვენ ტანჯვას.

ალდარა. მეტის-მეტი მოწყალებაა.

დედოფალი. თუმცა კი მე თქვენზე უკამაყოფი-
ლოთ უნდა ვიყვე, რადგანაც თქვენ მეფეს არა სწა-
ლობთ.

ალდარა. თქვენ დიდებულებას ჰავანია...

დედოფალი. ზეგონათ—ვერ შვენიშვნავდი?

ალდარა. მაპატიეთ... მეცდები გავწერებული მოდე-

დედოფალი. სრულიადაც არა (გაუბედავად)

მიპატიებია, მიპატიებია.
ეფურა. (ჩუმათ) დედოფალო, მისი დიდებუ-
ლება მობძანდება.

დედოფალი. (თავისთვის) მოვიდა! (მივა ისევ ფან-
ჯარასთან; მლეირა უკან მისდევს)
ალდარა. (თავისთვის) კიდევ იმას უცქერის.

მეფე. (მამაცად გამოდის თავის თახილგან) თქვენ აქა ხართ?

ალდარა. (დედოფალზე უჩვენებს) შეპხედოთ.
მეფე. (თავისთვის) ახ! დედოფალი!

დედოფალი. მს—სახეა პატიოსანი და მამაცი

რაინდებისა

მეფე. (მივა მასთან) ვისთვის იმეტებთ მაგგარ
ქებას?

დედოფალი. ახ, თქვენა ხართ?
ალდარა. მივა შეშუოთებულია...

მეფე. (დადგება დედოფალთან და ფანჯარაში

დაიწყებს ცეკვას) ეს დონ ალვარია, მგრნი.

დედოფალი. ნამდეილად ის არის.

მეფე. მე მოულოდნელად ველოცი ცნობებს

თქვენი ჯანმოთელობის შესახებ.

დედოფალი. მე ჩეცულობაზე უფრო კარგათ

ვარ (უნდა წასელა)

მეფე. მიხევალო?

დედოფალი. თუ სათქმელი არა გაქცს-რა?..

მეფე. თქვენი ნება.

დედოფალი. (მლეირას, რომელიც უკან მისდევს)

ხომ კარგათ ვთვალო-მაქცობ?

ს. 6—თ—მესი.

(ჟემდეგი იქნება)



თ ე ბ რ ი ს

“დ ე ბ რ ი ს”

(საიჭირდება)

განეკონის და მის თანამშრომდებს.

დიდს მადლობას გიძლენიან ქართულის მცოდნე
წინაპრები სიტყვის «მორდილის» შემოღებისათვის.
აქ მთელი წინაპართ ძელები შეძრწუნდა და უკვე-

ლია მანდ, სათქვენოშიაც, ბევრს გაუწითლებდა «მორ-
დილი».

ახლა გყითხავთ, როგორც ჩემ კვალში მამყოლს,
როგორ უნდა იწერებოდეს: მოზდილი, იზდებით, გიზ-
დებით, თუ (თქვენ მოგახსნებთ ბ. რედაქტორი და
თანამშრომელი ი „ივერიის ებურებისანი“) მოზდილი,
ირდებით, კირდებით?

ანტონ კათაღიძე.

წინა გამოცანუბის ახსნა.

- 1) წურბელი. 2) სასწორი. 3) მაჭიყი. 4) საბუ-
ლარი. 5) ცხეარი. 6) კერცხი.

დადაქართი და გამომცემელი გ. აბა შაბა.

განცხადებანი

სტატია.

მელიქი შეკვეთი.

თფალის ში — სასახლის ქან., აღწრუნის ეგვა ქან-
გასლაში, ქართული თეატრის შეკმა სართულში.

იღებს უკეთ გვარს სასტაბილ საქმებს საბე-
ჭდავათ: გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთ-
ვე უკეთ გვარ ბლანებს, გვარის ცივებს, სხივებს,

განცხადებებს, აიგიშებს, პირობებს და სხვ.

სისუთაგანებებს და აღნა შეულ დროზე საქა ს
შესრულებაზე სტამა პირობას აძლევს საქმის
მომცრანთ.

სტამა კისრულობს კორეპრეზის გასწორების
და ბროშურების გაგეთებას, უკეთ ზედაზის
მოცული ისურვებენ.

სააღგომო განცხადება

ილიკო საფაროვის მაღაზიაში

აღწრუნისეულ ქარვასლაში, თეატრის შესავალ კიბებთან — მარჯვნივ

მუდმივ ისე დება კოგელ გარდი ზაფუს შეუდი
და

სააღგომოთ გვიქნება გასასუიდათ საუკეთესოდ მომზადებული

ვ ი ჩ ი ნ ე ბ ი

(მოხარული და მაუქარული)

აგრეთვე საუკეთესო პასეაი. მსურველთ ამ თავითვე შეუძლიანთ დაიკვეთონ რა
გემოს პასკაც სურთ.

ისყიდვა ისაზად

2—1)